



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/65

ქ. თბილისი

24 თებერვალი 2018

სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 22 ოქტომბრის №05-01/61 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 24 ოქტომბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:


1. დამტკიცდეს სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1.1. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის საშტატო განრიგში განხორციელდეს შიდა თანამდებობრივი ცვლილებები სახელფასო ფონდისა და საშტატო ერთეულის ცვლილების გარეშე, დანართის შესაბამისად;

1.2. ინსტიტუტი „ტალღას“ საშტატო განრიგში განხორციელდეს შიდა თანამდებობრივი ცვლილება და საშტატო ერთეულის რაოდენობა ნაცვლად გათვალისწინებული 12,5 ერთეულისა, განისაზღვროს 11,5 ერთეულით, სახელფასო ფონდის შენარჩუნებით, დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბაშვილი